ხელშეკრულება N 151/04

საქართველო, ქ. თბილისი

„26“ აპრილი 2016 წელი

ერთი მხრივ, **შპს „პსპ-აფთიაქი“** (შემდგომში **„გამყიდველი“**) წარმოდგენილი მისი დირექტორის **კახაბერ ფანჩულიძის** სახით და მეორე მხრივ, **სსიპ. ქალაქ დუშეთის #2 საჯარო სკოლა** (შემდგომში **„მყიდველი“**) წარმოდგენილი მისი დირექტორის --- ---------- სახით, „გამყიდველი“,და „მყიდველი“ შემდგომი ერთად წოდებული როგორც „მხარეები“ და ცალ-ცალკე „მხარე“, მხარეთა ორმხრივი ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება“) შემდეგზე:

პრეამბულა

მხარეები სრული პასუხისმგებლობით აცხადებენ, რომ მათ გააჩნიათ სრული სამართლებლივი უფლებამოსილება აღნიშნული ხელშეკრულების დასადებად და მის შესასრულებლად, ისინი ერთმანეთის უფლებებს პატივისცემით ეპყრობიან და მოქმედებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. გამყიდველი კისრულობს ვალდებულებას საკუთრებაში გადასცეს და მიაწოდოს მყიდველს ამ უკანასკნელის მიერ შეკვეთა-განაცხადის (შემდგომში ,,**შეკვეთა-განაცხადი**'') საფუძველზე მოთხოვნილი ის ფარმაცევტული პროდუქტი (სამკურნალო საშუალება) ან/და სხვა საქონელი (შემდგომში **„საქონელი“**), რომლის გამყიდველის მიერ მყიდველისათვის გადაცემა მოთხოვნის მომენტისათვის შესაძლებელია, ხოლო მყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს საქონელი და გადაუხადოს გამყიდველს მისი ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და ოდენობით.

1.2. გამყიდველის მიერ მყიდველისათვის საკუთრებაში გადასაცემი საქონლის დასახელება და რაოდენობა დგინდება საქონლის ყოველი მიწოდების (გადაცემის) დროს შედგენილი სასაქონლო ზედნადებ(ებ)ის (შემდგომში **,,სასაქონლო ზედნადები**'') საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.3. **გამყიდველის მიერ მყიდველისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება (გადაცემა) განხორციელდება გამყიდველის კუთვნილი N 151 პსპ აფთიაქიდან, მდებარე მისამართზე: საქართველო, დუშეთი, ცენტრალური უნივერმაღის შენობა (შემდგომში „ მიწოდების ადგილი“);**

2. საქონლის ღირებულება და მიწოდების პირობები

2.1. გამყიდველის მიერ მყიდველისათვის საკუთრებაში გადასაცემი საქონლის ღირებულება დგინდება ყოველი მიწოდების (გადაცემის) დროს შედგენილი სასაქონლო ზედნადების შესაბამისად.

2.2. საქონლის ღირებულების დაანგარიშება ხორციელდება გამყიდველის მიერ მყიდველისათვის მიწოდების (გადაცემის) მომენტისათვის გამყიდველთან საქონელზე არსებული მიმდინარე სარეალიზაციო ფასების გათვალისწინებით.

2.3. მხარეთა შორის ანგარიშსწორება ხორციელდება ნაღდი ან/და უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

2.4. **მყიდველი კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს გამყიდველს საქონლის ღირებულება ყოველი კონკრეტული შეკვეთა-განაცხადით მოთხოვნილი საქონლის მიწოდებამდე (გადაცემამდე).**

2.5. საქონლის ღირებულება განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.

2.6. საკუთრების უფლება საქონელზე და საქონლის შემთხვევითი დაღუპვის (მთლიანი ან ნაწილობრივ), გაფუჭების ან დაზიანების მასთან დაკავშირებული შესაძლო რისკები, გამყიდველიდან მყიდველზე გადადის გამყიდველის მიერ მყიდველისათვის საქონლის მიწოდების (გადაცემის) მომენტიდან.

2.7. გამყიდველის მიერ მყიდველისათვის საქონლის მიწოდების (გადაცემის) მომენტად ითვლება მყიდველისათვის საქონლის მიწოდების თარიღი, რაც დასტურდება მხარეთა შორის საქონლის მიწოდებაზე (გადაცემაზე) შედგენილი სასაქონლო ზედნადების გაფორმებით (ატვირთვით) ან/და მხარეთა მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1. **მყიდველის უფლება-მოვალეობები:**

3.1.1. მყიდველი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების 2.4 პუნქტში მითითებულ ვადაში სრულად გადაუხადოს გამყიდველს მის მიერ შეკვეთა-განაცხადით მოთხოვნილი საქონლის ღირებულება;

3.1.2. მყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს გამყიდველს მყიდველისათვის შეკვეთა-განაცხადით მოთხოვნილი საქონლის მიწოდება (გადაცემა) ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

8.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით შედგება და ხელმოწერილი იქნება ხელშეკრულების ორივე მხარის უფლებამოსილის პირის მიერ.

8.2. ხელშეკრულების ძალაში შესვლის მომენტიდან შეწყდეს სხვა ნებისმიერი მსგავსი ტიპის ხელშეკრულება, რომელიც არეგულირებს ხელშეკრულების 1.1 პუნქტით გათვალისწინებულ ურთიერთობას/გააჩნია ანალოგიური ხელშეკრულების საგანი, რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულების 1.1 პუნქტით.

8.3. ხელშეკრულების ნებისმიერი დანართი, რომელიც სათანადო წესით ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

8.4. მხარეთა შორის ანგარიშსწორება და ნებიმიერი შეტყობინების გაგზავნა მოხდება ამ ხელშეკრულების მე-9 მუხლში აღნიშნულ რეკვიზიტებზე. რეკვიზიტების შეცვლის შემთხვევაში მხარეებმა ამის შესახებ დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობონ ერთმანეთს.

8.5. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

8.6. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა გამყიდველს და ერთი - მყიდველს.

9. მხარეთა რეკვიზიტები

გამყიდველი	მყიდველი
შპს“პსპ-აფთიაქი“ ს/კ:202199575 იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ. N 148/3 **საბანკო რეკვიზიტები:** **ბანკის დასახელება: სს „ბანკი რესპუბლიკა“** **ბანკის კოდი: REPLGE22** **IBAN:GE30BR0000010228710698**	**სსიპ. „ქალაქ დუშეთის #2 საჯარო სკოლა"** ს/კ: 229319190 იურიდიული მისამართი: საქართველო, დუშეთის რ/ნ, სტალინის ქ. N 84
დირექტორი: კახაბერ ფანჩულიძე	დირექტორი: